პოლიტიკური კრიზისების გაშუქების სპეციფიკა დასავლური და ქართული მედიის მაგალითზე

მარიამ ადამაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ–პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
m.adamashvili@seu.edu.ge
https://doi.org/10.61950/giu.4.2026.12129

აბსტრაქტი

მედიის გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა პოლიტიკური კრიზისებისას, როდესაც საზოგადოებრივი ყურადღება კონცენტრირდება პოლიტიკურ დაპირისპირებაზე. ასეთ პირობებში მედია არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების არხია, არამედ აქტიური სივრცეა, სადაც ყალიბდება ის ინტერპრეტაციული ჩარჩოები, რომელთა მეშვეობითაც საზოგადოება აღიქვამს კრიზისულ მოვლენებს. პოლიტიკური კრიზისი ქმნის განსაკუთრებულ საინფორმაციო გარემოს, სადაც ინფორმაციის წარმოება, შერჩევა და ინტერპრეტაცია იქცევა პოლიტიკური კომუნიკაციის ერთ-ერთ ცენტრალურ მექანიზმად.

კრიზისულ პერიოდში მედიის როლი განსაკუთრებით იზრდება, რადგან სწორედ ამ დროს ხდება პოლიტიკური აქტორების ინტენსიური გაშუქება და საზოგადოებრივი წარმოდგენების ფორმირება. მედია ქმნის სიმბოლურ რეალობას, რომლითაც კრიზისი აისახება, ასევე ყალიბდება კონკრეტული ინტერპრეტაციული ფორმებით. შესაბამისად, პოლიტიკური კრიზისების გაშუქება ინფორმაციულ პროცესთან ერთად დისკურსული პრაქტიკაცაა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების მიერ პოლიტიკური მოვლენების გააზრებაზე, პოლიტიკური პასუხისმგებლობის განსაზღვრასა და დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე.

ნაშრომის მიზანია პოლიტიკური კრიზისების გაშუქების სპეციფიკის ანალიზი დასავლური და ქართული მედიის მაგალითზე, მედია-დისკურსის, თხრობითი სტრუქტურებისა და ინტერპრეტაციული ჩარჩოების შედარებითი კვლევის საფუძველზე. კვლევის მიზანია გამოავლინოს, თუ როგორ განსხვავდება კრიზისული მოვლენების გაშუქება სხვადასხვა მედია-სისტემებში, რა ფაქტორები განსაზღვრავს გაშუქების სტილსა და შინაარსს, ასევე როგორ აისახება ეს პროცესები საზოგადოებრივი აღქმისა და პოლიტიკური ლეგიტიმაციის ფორმირებაზე.

მეთოდოლოგიურად კვლევა ეფუძნება შერეულ კვლევით დიზაინს, რომელიც აერთიანებს თვისებრივ და რაოდენობრივ მიდგომებს. თვისებრივი ანალიზი მოიცავს მედია-ტექსტების დისკურსულ და შედარებით ანალიზს, რაც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ჟურნალისტური თხრობითი სტრატეგიები და ინტერპრეტაციული მოდელები. რაოდენობრივი ანალიზი გამოიყენება მედია-კონტენტის სისტემური შეფასებისთვის, მათ შორის თემატური განაწილების, წყაროების სიხშირისა და აქტორების წარმოდგენის ინტენსივობის დასადგენად. ემპირიული მასალა მოიცავს დასავლური და ქართული სატელევიზიო მედიის საინფორმაციო და ანალიტიკურ პროგრამებს, რომლებიც შერჩეულია კრიზისული პერიოდების მიხედვით.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ დასავლურ მედიაში კრიზისების გაშუქება უფრო მეტად ეფუძნება პროფესიულ სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს შედარებით დაბალანსებულ და მრავალწყაროიან დისკურსს. ქართულ მედიაში კი შეინიშნება შინაარსობრივი პოლარიზაცია, წყაროების შერჩევითი გამოყენება და პოლიტიკური აქტორების დომინანტური წარმოდგენა, რაც ხშირად იწვევს მიკერძოებას. ასევე დგინდება, რომ მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური აქტორების ლეგიტიმაციისა და დელეგიტიმაციის პროცესში.

დასკვნით, კვლევა ხაზს უსვამს მედიის ინსტიტუციური გარემოსა და პროფესიული ეთიკის მნიშვნელობას პოლიტიკური კრიზისების გაშუქების ხარისხის განსაზღვრაში და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს თეორიულ და პრაქტიკულ მედია-კვლევებში.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური კრიზისი, მედია-გაშუქება, დემოკრატიული პროცესები

შესავალი

პოლიტიკურად კრიზისულ ვითარებაში განსაკუთრებულად თვალშისაცემი ხდება მედიის გავლენა თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებზე – მაშინ, როცა საზოგადოების ყურადღება მაქსიმალურადაა გამახვლებული ინსტიტუციურ კონფლიქტებზე, პოლიტიკურად კრიზისულ სიტუაციებსა და დაპირისპირებებზე. მსგავს სიტუაციაში, მედია არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების ტექნიკური საშუალებაა, არამედ ის აქტიურ სოციო–პოლიტიკურ სივრცედ ყალიბდება, სადაც იმ ინტერპრეტაციული ჩარჩოების ფორმირება ხდება, რომელთა საშუალებითაც აუდიტორია აღიქვამს, შემდეგ აანალიზებს და აფასებს მიმდინარე აქტუალურ მოვლენებს. სწორედ მედიის მიერ ჩამოყალიბებული დისკურსი განაპირობებს კრიზისის დეფინიციას და ხელს უწყობს ამა თუ იმ პირის პასუხისმგებელ აქტორად წარმოჩენას, ასევე განსაზღვრავს, თუ რომელი პოლიტიკური ნარატივი იყოს მეტად აქტუალური საჯარო სივრცეში და ხელს უწყობს კონკრეტულ პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

პოლიტიკური კრიზისის ვითარებაში განსაკუთრებული საინფორმაციო გარემო იქმნება, სადაც ინფორმაციის შერჩევა და დამუშავება პოლიტიკური კომუნიკაციის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმად იქცევა. კრიზისული ვითარების პროცესში საინფორმაციო ნაკადი, ხშირ შემთხვევაში, ინტენსიურობით ხასიათდება და ძირითადად, ქაოტურიცაა, რაც მედიისგან მოითხოვს არა მხოლოდ ოპერატიულობას, არამედ მაღალ პროფესიულ პასუხისმგებლობას, ეთიკური სტანდარტების გათვალისწინებასა და დაცვას.

პოლიტიკური კრიზისი, როგორც სოციალური და ინსტიტუციური დაძაბულობის მდგომარეობა, ქმნის ისეთ საინფორმაციო გარემოს, სადაც მნიშვნელოვნად იზრდება მედიის პასუხისმგებლობა. კრიზისულ ვითარებაში მოქალაქეები ხშირად სწორედ მედიაზე დაყრდნობით იღებენ ინფორმაციას მიმდინარე მოვლენების შესახებ, აფასებენ პოლიტიკურ აქტორებს, იაზრებენ კონფლიქტის მიზეზებს და აყალიბებენ საკუთარ დამოკიდებულებებს. შესაბამისად, მედიას შეუძლია როგორც ობიექტური და დაბალანსებული ინფორმაციის მიწოდება, ისე პოლიტიკური დაპირისპირების გამწვავება, საზოგადოებრივი პოლარიზაციის გაღრმავება და კონფლიქტური დისკურსების გამყარება.

კრიზისულ პერიოდში მედიის როლი მნიშვნელოვნად იზრდება იქიდან გამომდინარეც, რომ სწორედ მსგავს ვითარებაში ხდება პოლიტიკური აქტორების ინტენსიური ვიზუალიზაცია, საზოგადოებრივი აზრისა და წარმოდგენების ჩამოყალიბება. მედია სიმბოლურ რეალობას აყალიბებს, რის საშუალებითაც პოლიტიკური კრიზისი არა მხოლოდ აისახება, არამედ ფორმირდება კონკრეტული ინტერპრეტაციული ფორმებით. მედიის მიერ გამოყენებული ენობრივი სტრატეგიები, ვიზუალური ნარატივები, თემატური აქცენტები და წყაროების შერჩევის პრინციპები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება პოლიტიკურ პროცესებს. შესაბამისად, პოლიტიკური კრიზისების გაშუქება წარმოადგენს არა მხოლოდ ინფორმაციულ პრაქტიკას, არამედ დისკურსულ პროცესს, რაც პოლიტიკურ რეალობას განსაზღვრავს, ასევე პოლიტიკური ლეგიტიმაციის განსაზღვრისა და ძალაუფლების სიმბოლური ურთიერთობების ფორმირების პროცესში მონაწილეობს.

მედიის მხრიდან პოლიტიკურ აქტორებთან დაკავშირებით დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულებები მნისვნელოვნად განსაზღვრავს საზოგადოების ნდობის ხარისხის დონეს სახელმწიფო ინსტიტუტთა, ოპოზიციური ჯგუფებსა თუ სამოქალაქო პროტესტთან დაკავშირებით.

პოლიტიკური კრიზისების გაშუქებისას განსაკუთრებით აქტუალური ხდება ჟურნალისტური ეთიკის ისეთი პრინციპები, როგორიცაა სიზუსტე, მიუკერძოებლობა, ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნა, წყაროების გადამოწმება, ბალანსი, ადამიანის ღირსების პატივისცემა, სიძულვილის ენის პრევენცია და საზოგადოებრივი ინტერესის დაცვა. ამ პრინციპების დარღვევა კრიზისულ ვითარებაში არა მხოლოდ პროფესიულ პრობლემად, არამედ საზოგადოებრივი უსაფრთხოების, დემოკრატიული კულტურისა და ადამიანის უფლებების დაცვის გამოწვევადაც შეიძლება იქცეს.

ქართული მედიის კონტექსტში პოლიტიკური კრიზისების გაშუქება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ქვეყანაში მედიაგარემო ხშირად პოლიტიკური პოლარიზაციით ხასიათდება, მედიის პარტიულ ინტერესებთან ასოცირებით, სენსაციურობითა და ემოციური ნარატივების სიმრავლით. ასეთი გარემოში აუცილებელია შეფასდეს, როგორ აღიქვამენ მოქალაქეები მედიის როლს პოლიტიკური კრიზისებისას და პროფესიული სტანდარტების დაცვაზე რამდენადორიენტირებულ ინსტიტუტად მიიჩნევენ მას.

წინამდებარე კვლევა სწორედ ამ პრობლემურ ველს შეისწავლის. მისი მიზანია, რაოდენობრივი მონაცემების საფუძველზე გაანალიზდეს რესპონდენტთა დამოკიდებულებები ქართული და დასავლური მედიის მიერ პოლიტიკური კრიზისების გაშუქების მიმართ, გამოვლინდეს მედიის სანდოობასთან, ეთიკურობასთან, პოლიტიკურ მიკერძოებასთან და დეზინფორმაციასთან დაკავშირებული ძირითადი ტენდენციები და ჩამოყალიბდეს რეკომენდაციები პროფესიული სტანდარტების გაძლიერებისათვის. კვლევის ძირითადი მიზანია პოლიტიკური კრიზისების გაშუქებისას მედიის როლისა და პროფესიული პასუხისმგებლობის შეფასება ქართული და დასავლური მედიის შედარებითი პერსპექტივით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაისახა შემდეგი ამოცანები:

1. გამოავლინოს საზოგადოებრივი აზრი, რამდენად თავისუფალია ქართული მედია პოლიტიკური კრიზისების გაშუქების პროცესში და დაადგინოს, რამდენად აღიქმება ქართული მედია პოლიტიკურად პოლარიზებულად;

2. შეაფასოს რესპონდენტთა დამოკიდებულება ჟურნალისტური ეთიკის დაცვის ხარისხის მიმართ, ასევე გააანალიზოს დეზინფორმაციისა და დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელების აღქმა კრიზისულ პერიოდში;

3. შეისწავლოს სოციალური მედიის გავლენა პოლიტიკური კრიზისების გაშუქებასა და ინფორმაციის გავრცელებაზე; ასევე, განსაზღვროს, რამდენად მნიშვნელოვნად აღიქვამენ კვლევაში მონაწილე რესპონდენტები ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნას;

4. შეაფასოს დასავლური და ქართული მედიის შედარებითი აღქმა ადამიანის უფლებებისა და პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით; ასევე, ჩამოაყალიბოს რეკომენდაციები მედიის პროფესიული და ეთიკური პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის.

კვლევაში, ასევე, განხილულია მედიის და დემოკრატიის ურთიერთმიმართების თანამედროვე თეორიული ინტერპრეტაციები. დემოკრატიულ საზოგადოებაში მედია საჯარო სივრცის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის თავისუფალ მიმოქცევას, პოლიტიკური პლურალიზმის არსებობას და მოქალაქეთა ინფორმირებულ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური კრიზისების ვითრებაში მედიის ეს ფუნქცია ხშირად გართულებულია, ვინაიდან ასეთ დროს იზრდება პოლიტიკური ზეწოლის, კომერციული ინტერესებისა და საინფორმაციო მანიპულაციების გავლენა. ამიტომაც, კრიზისული ჟურნალისტიკის კვლევა თანამედროვე მედია-კვლევების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად მიიჩნევა.

კვლევის მეთოდები

კვლევის მეთოდები აერთიანებს თვისებრივ და რაოდენობრივ მიდგომებს. თვისებრივი ანალიზი მოიცავს ქართული და დასავლური მედია-ტექსტების დისკურსულ და შედარებით ანალიზს, რაც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ჟურნალისტური თხრობითი სტრატეგიები, ინტერპრეტაციული მოდელები და პოლიტიკური ნარატივების ფორმირების მექანიზმები.

რაოდენობრივი ანალიზი გამოიყენება ქართული მედია-კონტენტის სისტემური შეფასებისთვის. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იყო სტრუქტურირებული ონლაინ კითხვარი, რომელიც მოიცავდა როგორც დემოგრაფიულ, ისე თემატურ და შეფასებით ბლოკებს. კვლევაში 160 რესპონდენტი მონაწილეობდა. მონაცემები იძლევა მნიშვნელოვან ემპირიულ სურათს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ რესპონდენტები მედიის საქმიანობას პოლიტიკური კრიზისების გაშუქებისას.

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა კითხვარი-გზამკვლევი (Guide), რომელიც შედგებოდა საკითხების ჩამონათვალისგან. ისინი გამოიყენებოდა როგორც ზოგადი სახელმძღვანელო ორიენტირები. კითხვარი მოიცავდა რამდენიმე ძირითად თემატურ მიმართულებას:

- მედიის როლი პოლიტიკური კრიზისების დროს;
- ქართული მედიის სანდოობა და მიუკერძოებლობა;

- ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვა;
- პოლიტიკური პოლარიზაციის აღქმა;
- დეზინფორმაციისა და დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელება;
- სოციალური მედიის გავლენა;
- დასავლური და ქართული მედიის შედარებითი შეფასება;
- ადამიანის უფლებების დაცვა კრიზისული გაშუქებისას;
- მედიის გავლენა საზოგადოებრივ აზრსა და დემოკრატიულ პროცესებზე.

მონაცემების ანალიზისას გამოყენებულ იქნა აღწერითი სტატისტიკის პრინციპები, მათ შორის პროცენტული განაწილება, საშუალო მაჩვენებლები და თემატური ინტერპრეტაცია. შედეგები გაანალიზდა აკადემიური კვლევის ლოგიკით, რაც გულისხმობს არა მხოლოდ მონაცემების აღწერას, არამედ მათ თეორიულ და სოციალურ კონტექსტში გააზრებას.

კვლევაში მონაწილე 160 რესპონდენტის დემოგრაფიული მონაცემები მნიშვნელოვანი საფუძველია შედეგების სწორად ინტერპრეტირებისთვის. რესპონდენტთა სქესობრივი, ასაკობრივი და პროფესიული განაწილება გვაძლევს შესაძლებლობას, დავინახოთ, რომ კვლევა ასახავს სხვადასხვა სოციალური და პროფესიული ჯგუფის დამოკიდებულებებს.

კვლევისას ასევე უზრუნველყოფილი იყო გენდერულად სამართლიანი წარმომადგენლობა და კვლევა იძლეოდა შესაძლებლობას, ქალებისა და კაცების პრობლემები და განწყობები ასახულიყო კვლევაში. რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი იყო მდედრობითი სქესის, ხოლო დანარჩენი – მამრობითი სქესის წარმომადგენელი. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კვლევა არაა ერთფეროვან სოციალურ ჯგუფზე შეზღუდული და მოიცავს განსხვავებული გამოცდილების მქონე მონაწილეებს.

ასაკობრივი თვალსაზრისით, კვლევაში მონაწილეობდნენ როგორც ახალგაზრდა, ისე საშუალო და უფროსი ასაკის რესპონდენტები. კვლევის ფარგლებში გამოიკითა სამუშაო ასაკის - 18-დან 65 წლამდე და 65+ ასაკის მოსახლეობა. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა აესახა თავისი კონკრეტული შეხდულება საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. ასაკობრივი ჯგუფების ასეთი განაწილება მნიშვნელოვანია, რადგან პოლიტიკური კრიზისების გაშუქების აღქმა შესაძლოა განსხვავდებოდეს თაობების მიხედვით. ახალგაზრდა რესპონდენტები, როგორც წესი, უფრო აქტიურად იყენებენ სოციალურ მედიას და ციფრულ პლატფორმებს, ხოლო უფროსი ასაკობრივი ჯგუფები ხშირად მეტად არიან ორიენტირებული ტრადიციულ მედიასაშუალებებზე, მაგალითად ტელევიზიაზე.

პროფესიული ნიშნით, რესპონდენტთა შორის წარმოდგენილი იყვნენ ჟურნალისტები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები, სტუდენტები, სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტები და საჯარო სივრცეში მიმდინარე პროცესებით დაინტერესებული მოქალაქეები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჟურნალისტიკისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლების მონაწილეობა, რადგან მათი შეფასებები არა მხოლოდ მომხმარებლის, არამედ პროფესიული დაკვირვების პერსპექტივასაც შეიცავს.

ამგვარი დემოგრაფიული სურათი კვლევას ანიჭებს მრავალმხრივობას და იძლევა შესაძლებლობას, მიღებული შედეგები განვიხილოთ როგორც ზოგადი საზოგადოებრივი დამოკიდებულებების, ისე პროფესიულად ინფორმირებული შეფასებების ერთობლიობა.

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ დასავლურ მედიაში პოლიტიკური კრიზისების გაშუქება შედარებით მეტად ეფუძნება პროფესიულ ჟურნალისტურ სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს მრავალწყაროიან, ბალანსირებულ და ფაქტებზე ორიენტირებულ დისკურსს. დასავლური მედიის პრაქტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფაქტების გადამოწმებას, სარედაქციო კონტროლსა და პოლიტიკური პლურალიზმის დაცვას. ამის საპირისპიროდ, ქართულ მედიაში ხშირად შეინიშნება შინაარსობრივი პოლარიზაცია, წყაროების შერჩევითი გამოყენება და პოლიტიკური აქტორების დომინანტური წარმოდგენა, რაც რიგ შემთხვევებში იწვევს მიკერძოებულ და ემოციურად დატვირთულ გაშუქებას.

კვლევა ასევე ცხადყოფს, რომ მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური აქტორების ლეგიტიმაციისა და დელეგიტიმაციის პროცესში. მედიის მიერ კონსტრუირებული ნარატივები გავლენას ახდენს საზოგადოების მიერ პოლიტიკური მოვლენების ინტერპრეტაციაზე, პოლიტიკური პასუხისმგებლობის განსაზღვრასა და კრიზისული პროცესების საზოგადოებრივ შეფასებაზე. ამდენად, მედიის საქმიანობა პოლიტიკური კრიზისების დროს მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებით არ შემოიფარგლება; იგი აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკური რეალობის ფორმირებასა და საზოგადოებრივი აზრის სტრუქტურირებაში.

დასკვნით, კვლევა ხაზს უსვამს მედიის ინსტიტუციური გარემოს, პროფესიული ეთიკისა და სარედაქციო დამოუკიდებლობის მნიშვნელობას პოლიტიკური კრიზისების გაშუქების ხარისხის განსაზღვრაში. ნაშრომი აჩვენებს, რომ დემოკრატიული მედია გარემოს განვითარებისთვის აუცილებელია პროფესიული სტანდარტების გაძლიერება, ჟურნალისტური ეთიკის ეფექტიანი თვითრეგულაცია და კრიზისული ჟურნალისტიკის პროფესიული პრაქტიკის გაუმჯობესება. კვლევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს როგორც მედიის თეორიულ კვლევებში, ისე პოლიტიკური კომუნიკაციისა და დემოკრატიული პროცესების პრაქტიკული ანალიზის განვითარებაში.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტები მედიას მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ პოლიტიკური კრიზისების დროს. ეს მიგნება მიუთითებს, რომ საზოგადოებაში მედია აღიქმება არა მხოლოდ ინფორმაციის გამავრცელებელ ინსტიტუტად, არამედ პოლიტიკური პროცესების განმმარტებელ და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში ჩართულ აქტორად.

პოლიტიკური კრიზისის დროს მედია ასრულებს რამდენიმე პარალელურ ფუნქციას. ერთი მხრივ, იგი მოქალაქეებს აწვდის ინფორმაციას მიმდინარე მოვლენების, პოლიტიკური გადაწყვეტილებების, საპროტესტო აქციების, ხელისუფლებისა და ოპოზიციის პოზიციების შესახებ. მეორე მხრივ, მედია ქმნის ინტერპრეტაციულ ჩარჩოებს, რომელთა მეშვეობითაც საზოგადოება აღიქვამს კრიზისს. სწორედ ამ ჩარჩოების საშუალებით ხდება კონკრეტული

მოვლენის შეფასება, პასუხისმგებელი აქტორების იდენტიფიცირება და პოლიტიკური პროცესების მნიშვნელობის განსაზღვრა.

რესპონდენტთა შეფასებებით, მედიის როლი განსაკუთრებით იზრდება მაშინ, როდესაც საზოგადოებაში არსებობს გაურკვევლობა, მაღალი ემოციური დაძაბულობა და ინფორმაციული ვაკუუმი. ასეთ პირობებში მოქალაქეები საჭიროებენ სანდო, დაბალანსებულ და გადამოწმებულ ინფორმაციას. თუ მედია ვერ ასრულებს ამ ფუნქციას, საზოგადოებაში იზრდება უნდობლობა, დეზინფორმაციის გავრცელების რისკი და პოლიტიკური პოლარიზაცია.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიგნებაა ის, რომ რესპონდენტები მედიის გავლენას საზოგადოებრივ აზრზე საკმაოდ მაღალ მნიშვნელობას ანიჭებენ. ეს ადასტურებს, რომ პოლიტიკური კრიზისების გაშუქება არ არის მხოლოდ ნეიტრალური ინფორმაციული პროცესი. იგი წარმოადგენს დისკურსულ პრაქტიკას, რომლის მეშვეობითაც მედია მონაწილეობს პოლიტიკური რეალობის კონსტრუირებაში.

კვლევის შედეგებში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა ქართული მედიის სანდოობისა და მიუკერძოებლობის საკითხი. რესპონდენტთა შეფასებები მიუთითებს, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ მედიას კრიტიკულად აღიქვამს პოლიტიკური კრიზისების გაშუქების კონტექსტში.

მიუკერძოებლობა ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. განსაკუთრებით კრიზისულ ვითარებაში ჟურნალისტმა და მედიაორგანიზაციამ უნდა შეძლონ ფაქტების ობიექტურად წარმოჩენა, სხვადასხვა მხარის პოზიციის დაბალანსებული გაშუქება და საკუთარი პოლიტიკური სიმპათიებისგან დისტანცირება. თუმცა კვლევის მონაცემები აჩვენებს, რომ რესპონდენტთა აზრით, ქართულ მედიაში ხშირად შეინიშნება პოლიტიკური მიკერძოება.

აღნიშნული ტენდენცია შეიძლება აიხსნას ქართული მედიაგარემოს სტრუქტურული თავისებურებებით. ქართული მედიის მნიშვნელოვანი ნაწილი ხშირად აღიქმება კონკრეტულ პოლიტიკურ ინტერესებთან, პარტიულ პოზიციებთან ან იდეოლოგიურ ბანაკებთან დაკავშირებულად. ასეთ პირობებში აუდიტორიისთვის რთულდება იმის განსაზღვრა, სად მთავრდება ფაქტობრივი ინფორმაცია და სად იწყება პოლიტიკური ინტერპრეტაცია.

რესპონდენტთა კრიტიკული შეფასებები მიუთითებს, რომ მედიის მიმართ ნდობის ხარისხი პირდაპირ კავშირშია მის პროფესიულ დამოუკიდებლობასთან. როდესაც აუდიტორია მედიას პოლიტიკურად მიკერძოებულად აღიქვამს, მცირდება მისი სანდოობა და იზრდება ალტერნატიული, ხშირად დაუზუსტებელი წყაროების მიმართ მიმართვიანობა.

კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მიგნება არის ქართული მედიის პოლიტიკური პოლარიზაციის მაღალი აღქმა. რესპონდენტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართული მედია პოლიტიკური კრიზისების დროს ხშირად მოქმედებს პოლარიზებული ლოგიკით.

პოლარიზაცია მედიაში ვლინდება მაშინ, როდესაც მოვლენების გაშუქება ხდება არა ფაქტების მრავალმხრივი ანალიზის, არამედ დაპირისპირებული პოლიტიკური ბანაკების ინტერესების შესაბამისად. ამ შემთხვევაში მედია აღარ ფუნქციონირებს როგორც ნეიტრალური შუამავალი

საზოგადოებასა და პოლიტიკურ პროცესებს შორის. იგი თავად ხდება პოლიტიკური დაპირისპირების ნაწილი.

პოლიტიკური კრიზისების დროს პოლარიზებული მედია განსაკუთრებით სახიფათოა, რადგან იგი ხელს უწყობს საზოგადოების დაყოფას „ჩვენ“ და „ისინი“ ლოგიკით. ასეთ პირობებში განსხვავებული პოზიციის მქონე ჯგუფები არა როგორც ლეგიტიმური საზოგადოებრივი აქტორები, არამედ როგორც მტრული მხარეები წარმოჩნდებიან. ეს კი ზრდის კონფლიქტის ესკალაციის, სიძულვილის ენის, ემოციური მობილიზაციისა და საზოგადოებრივი დაპირისპირების რისკს.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტები ქართულ მედიაში პოლიტიკურ პოლარიზაციას სისტემურ პრობლემად აღიქვამენ. ეს მიგნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მიუთითებს არა მხოლოდ ცალკეული ჟურნალისტური შეცდომების არსებობაზე, არამედ მედიასისტემის უფრო ღრმა სტრუქტურულ გამოწვევაზე.

კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მედიის მიერ ემოციური და სენსაციური ნარატივების გამოყენებაზე. რესპონდენტთა შეფასებები მიუთითებს, რომ ქართული მედია პოლიტიკური კრიზისების დროს ხშირად მიმართავს ემოციურად დატვირთულ ლექსიკას, დრამატიზებულ სათაურებსა და კონფლიქტზე ორიენტირებულ გაშუქებას.

სენსაციურობა მედიაში ხშირად დაკავშირებულია აუდიტორიის ყურადღების მოპოვების სურვილთან. ციფრულ გარემოში, სადაც მედიასაშუალებები კონკურენციას უწევენ ერთმანეთს ნახვების, რეიტინგებისა და სოციალური ქსელების ჩართულობისთვის, იზრდება რისკი, რომ ჟურნალისტური პროდუქტი მეტად გახდეს ემოციური ზემოქმედების საშუალება, ვიდრე ინფორმაციული ანალიტიკის სივრცე.

პოლიტიკური კრიზისის გაშუქებისას სენსაციურობა განსაკუთრებით პრობლემურია. კრიზისული ვითარება ისედაც მაღალი ემოციური დაძაბულობით ხასიათდება. ამ დროს მედიის მიერ დრამატიზებული და კონფლიქტზე ორიენტირებული ნარატივების გამოყენება შესაძლოა კიდევ უფრო გაამწვავოს საზოგადოებრივი განწყობები.

რესპონდენტთა შეფასებები აჩვენებს, რომ მედიის ემოციურობა აღიქმება არა როგორც სტილისტური თავისებურება, არამედ როგორც პროფესიული სტანდარტების პრობლემა. ეს მიუთითებს, რომ საზოგადოება მედიასგან ელოდება არა მხოლოდ სწრაფ ინფორმაციას, არამედ პასუხისმგებლიან, მშვიდ და კონტექსტზე დაფუძნებულ გაშუქებას.

ჟურნალისტური ეთიკა კვლევის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია. რესპონდენტთა შეფასებები მიუთითებს, რომ ქართულ მედიაში ეთიკური სტანდარტების დაცვა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

ეთიკური ჟურნალისტიკა გულისხმობს არა მხოლოდ ფორმალური წესების დაცვას, არამედ პროფესიული პასუხისმგებლობის გაცნობიერებას. პოლიტიკური კრიზისების დროს ჟურნალისტური ეთიკის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება, რადგან არაზუსტმა ან მიკერძოებულმა ინფორმაციამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე,

პოლიტიკურ პროცესებზე და მოქალაქეთა უფლებებზე. კვლევის მონაცემების მიხედვით, რესპონდენტები კრიტიკულად აფასებენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: ბალანსის დაცვა, ფაქტების გადამოწმების ხარისხი და წყაროების სანდოობა; ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა; სიძულვილის ენის თავიდან აცილება; ადამიანის ღირსების პატივისცემა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნის პრობლემა. როდესაც ჟურნალისტური ტექსტი ან სატელევიზიო სიუჟეტი ფაქტობრივ ინფორმაციას და ჟურნალისტის/რედაქციის შეფასებით პოზიციას ერთმანეთში ურევს, აუდიტორიას უჭირს ობიექტური სურათის ჩამოყალიბება. ასეთი პრაქტიკა ამცირებს მედიის სანდოობას და აძლიერებს მიკერძოებულობის განცდას.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ რესპონდენტები ეთიკური სტანდარტების გაძლიერებას აუცილებელ პირობად მიიჩნევენ მედიის პროფესიული განვითარებისათვის.

ფაქტების გადამოწმება კრიზისული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია. პოლიტიკური კრიზისების დროს ინფორმაცია ხშირად სწრაფად ვრცელდება, წყაროები მრავალფეროვანი და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგოა, ხოლო საზოგადოებრივი მოთხოვნა მყისიერ ინფორმაციაზე განსაკუთრებით მაღალია. ასეთ ვითარებაში იზრდება შეცდომის, მანიპულაციისა და დეზინფორმაციის გავრცელების რისკი.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ რესპონდენტები ქართულ მედიაში ფაქტების გადამოწმების ხარისხს არასაკმარისად აფასებენ. ეს მიგნება განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან ფაქტობრივი სიზუსტე ჟურნალისტიკის საბაზისო პირობაა. თუ აუდიტორიას აქვს განცდა, რომ მედია ინფორმაციას სათანადოდ არ ამოწმებს, ნდობა მედიაინსტიტუტების მიმართ სუსტდება.

ინფორმაციის სიზუსტის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას მაშინ, როდესაც საქმე ეხება პოლიტიკურ დაპირისპირებას, საპროტესტო აქციებს, ძალადობის შემთხვევებს, სამართალდამცავი ორგანოების მოქმედებას ან პოლიტიკურ ბრალდებებს. ასეთ დროს ერთი დაუზუსტებელი ინფორმაცია შესაძლოა გახდეს ფართო საზოგადოებრივი რეაქციის ან პოლიტიკური მანიპულაციის საფუძველი.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართული მედიისათვის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა არის სწრაფ ინფორმაციასა და გადამოწმებულ ინფორმაციას შორის ბალანსის დაცვა.

დეზინფორმაციის საკითხი კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად გამოიკვეთა. რესპონდენტთა შეფასებით, პოლიტიკური კრიზისების დროს ქართულ მედიასა და განსაკუთრებით სოციალურ მედიაში იზრდება დაუზუსტებელი და მანიპულაციური ინფორმაციის გავრცელების რისკი.

დეზინფორმაცია პოლიტიკური კრიზისის დროს მხოლოდ ინფორმაციული პრობლემა არ არის. იგი შეიძლება იქცეს პოლიტიკური გავლენის, საზოგადოებრივი დაყოფის, ინსტიტუტებისადმი უნდობლობის და დემოკრატიული პროცესების დესტაბილიზაციის ინსტრუმენტად. ამიტომ

დეზინფორმაციის პრევენცია უნდა განიხილებოდეს როგორც ჟურნალისტური, ისე საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამოცანა.

კვლევის მონაწილეთა დამოკიდებულებები აჩვენებს, რომ რესპონდენტები აცნობიერებენ დეზინფორმაციის რისკებს და მედიას აკისრებენ პასუხისმგებლობას, გააძლიეროს გადამოწმების მექანიზმები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მედიაორგანიზაციებმა მკაფიოდ განასხვავონ გადამოწმებული ინფორმაცია, ვარაუდი, ანალიზი და პოლიტიკური კომენტარი.

დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ფაქტჩეკინგის ცალკეული ინიციატივებით. საჭიროა სისტემური მიდგომა, რომელიც მოიცავს ჟურნალისტების პროფესიულ მომზადებას, რედაქციული სტანდარტების გამყარებას, მედიის თვითრეგულირებას და აუდიტორიის მედია წიგნიერების გაძლიერებას.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტები სოციალურ მედიას მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევენ პოლიტიკური კრიზისების გაშუქებისა და აღქმის პროცესში. სოციალური მედია დღეს ერთ-ერთი მთავარი სივრცეა, სადაც მოქალაქეები იღებენ ინფორმაციას, აზიარებენ საკუთარ პოზიციებს, მონაწილეობენ დისკუსიებში და რეაგირებენ პოლიტიკურ მოვლენებზე.

სოციალურ მედიას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ფუნქცია. ერთი მხრივ, იგი ზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, აძლევს მოქალაქეებს საკუთარი ხმის გამოხატვის შესაძლებლობას და ქმნის ალტერნატიულ საჯარო სივრცეს. მეორე მხრივ, სოციალური მედია ხშირად ხელს უწყობს დაუზუსტებელი ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას, ემოციური მობილიზაციის გაძლიერებას და პოლარიზებული ჯგუფების ჩამოყალიბებას.

პოლიტიკური კრიზისის დროს სოციალური მედიის ალგორითმული ლოგიკა ხშირად აძლიერებს იმ შინაარსს, რომელიც ემოციურად მძაფრია, კონფლიქტურია ან სკანდალურია. ამის შედეგად, საზოგადოებრივი დისკუსია ხშირად გადადის არგუმენტირებული მსჯელობიდან ემოციურ დაპირისპირებაში.

კვლევის მონაცემები მიუთითებს, რომ რესპონდენტები სოციალურ მედიას დეზინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ აღიქვამენ. ეს მიგნება აჩვენებს, რომ თანამედროვე მედიაკვლევაში ტრადიციული და ციფრული მედიის ანალიზი ერთმანეთისგან განცალკევებულად აღარ შეიძლება. პოლიტიკური კრიზისების გაშუქება დღეს ჰიბრიდულ საინფორმაციო ეკოსისტემაში მიმდინარეობს, სადაც ტელევიზია, ონლაინ მედია და სოციალური ქსელები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული.

პოლიტიკური კრიზისების გაშუქებისას ადამიანის უფლებების დაცვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. კრიზისულ ვითარებაში ხშირად ხდება სხვადასხვა სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური ან იდეოლოგიური ჯგუფის მიმართ სტერეოტიპული და დისკრიმინაციული ნარატივების გავრცელება. ამგვარ პირობებში მედიის პასუხისმგებლობა მდგომარეობს არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებაში, არამედ ადამიანის ღირსების, თანასწორობისა და არადისკრიმინაციული გაშუქების პრინციპების დაცვაში.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ სიძულვილის ენის პრევენციას. მათი შეფასებით, პოლიტიკურ კრიზისებში მედია უნდა ერიდებოდეს ისეთი ლექსიკის, ვიზუალური მასალისა და ნარატივების გამოყენებას, რომლებიც ხელს უწყობს კონკრეტული ჯგუფების დემონიზებას ან მარგინალიზაციას.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკა გულისხმობს, რომ მედია კრიზისის მონაწილე ყველა მხარეს უნდა აშუქებდეს ღირსების დაცვის პრინციპით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც გაშუქების ობიექტები არიან მოწყვლადი ჯგუფები, აქციის მონაწილეები, დაკავებული პირები, დაშავებულები ან პოლიტიკური ძალადობის მსხვერპლები.

რესპონდენტთა შეფასებები მიუთითებს, რომ დასავლური მედია შედარებით უფრო მეტად ასოცირდება ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებთან, ვიდრე ქართული მედია. თუმცა ეს შეფასება არ ნიშნავს, რომ დასავლური მედია სრულად თავისუფალია პრობლემებისგან. უფრო სწორად, იგი ასახავს საზოგადოებაში არსებულ წარმოდგენას, რომ დასავლურ მედიაში ინსტიტუციური ეთიკური სტანდარტები და პროფესიული რეგულაციები უფრო მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო დასავლური და ქართული მედიის შედარებითი შეფასება. რესპონდენტთა დამოკიდებულებები აჩვენებს, რომ დასავლური მედია ხშირად აღიქმება, როგორც უფრო მეტად ინსტიტუციურად ჩამოყალიბებული, სტანდარტიზებული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული სისტემა. დასავლური მედიის მიმართ შედარებით მაღალი ნდობა შეიძლება უკავშირდებოდეს იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო მედიაორგანიზაციები ხშირად ასოცირდებიან მკაფიო რედაქციულ პოლიტიკასთან, ეთიკურ კოდექსებთან, ფაქტჩეკინგის სისტემებთან და აუდიტორიის წინაშე ანგარიშვალდებულების პრაქტიკებთან. ქართული მედიის შემთხვევაში რესპონდენტთა შეფასებები უფრო კრიტიკულია. ძირითადი პრობლემებია პოლიტიკური მიკერძოება, პოლარიზაცია, სენსაციურობა და ეთიკური სტანდარტების არათანმიმდევრული დაცვა.

თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ შედარებითი შეფასება არ გულისხმობს დასავლური მედიის იდეალიზაციას. დასავლურ მედიაშიც არსებობს პოლიტიკური მიკერძოების, კომერციული ზეწოლისა და საინფორმაციო მანიპულაციის შემთხვევები. განსხვავება უფრო მეტად დაკავშირებულია ინსტიტუციური კონტროლის, პროფესიული თვითრეგულირებისა და მედია ანგარიშვალდებულების ხარისხთან. ამ თვალსაზრისით, ქართული მედიის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია არა დასავლური მოდელების მექანიკური გადმოტანა, არამედ ისეთი პროფესიული სტანდარტების გაძლიერება, რომლებიც ადგილობრივ სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტს შეესაბამება.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ რესპონდენტები მედიას საზოგადოებრივ აზრზე მნიშვნელოვან გავლენას მიაწერენ. პოლიტიკური კრიზისის დროს მედია არა მხოლოდ აღწერს მოვლენებს, არამედ ქმნის მათ ინტერპრეტაციას. იგი განსაზღვრავს, რომელი საკითხები გახდება პრიორიტეტული, რომელი აქტორები წარმოჩნდებიან პასუხისმგებელ პირებად და როგორ შეფასდება პოლიტიკური პროცესები.

მედიის გავლენა საზოგადოებრივ აზრზე განსაკუთრებით ძლიერია მაშინ, როდესაც საზოგადოებაში არსებობს მაღალი ემოციური დაძაბულობა და ინფორმაციის ნაკლებობა. ასეთ ვითარებაში აუდიტორია ხშირად უფრო მგრძნობიარეა მედიის მიერ შეთავაზებული ნარატივების მიმართ. თუ მედია იყენებს დაბალანსებულ, კონტექსტზე დაფუძნებულ და ფაქტობრივად გადამოწმებულ გაშუქებას, მას შეუძლია ხელი შეუწყოს ინფორმირებულ საზოგადოებრივ დისკუსიას. ხოლო თუ მედია მიმართავს მიკერძოებულ, ემოციურ ან სენსაციურ გაშუქებას, იგი შესაძლოა გახდეს პოლარიზაციისა და დაპირისპირების გამაძლიერებელი ფაქტორი. კვლევის შედეგები ამტკიცებს, რომ რესპონდენტები აცნობიერებენ მედიის ამ გავლენას და ამიტომაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ჟურნალისტურ ნეიტრალიტეტს, პროფესიულ ეთიკასა და პასუხისმგებლობას.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ პოლიტიკური კრიზისების გაშუქება ქართული მედიისათვის ერთ-ერთი ყველაზე რთული პროფესიული გამოწვევაა. კრიზისული ვითარება მოითხოვს სწრაფ რეაგირებას, მაგრამ ამავე დროს მოითხოვს განსაკუთრებულ სიზუსტეს, სიფრთხილესა და ეთიკურ პასუხისმგებლობას. სწორედ ამ ორ მოთხოვნას — სისწრაფესა და სიზუსტეს – შორის ბალანსის დაცვა წარმოადგენს თანამედროვე ჟურნალისტიკის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას. მიღებული მონაცემები აჩვენებს, რომ რესპონდენტთა აღქმაში ქართული მედია ხშირად ვერ ახერხებს პოლიტიკური კრიზისების გაშუქებას სრული პროფესიული ნეიტრალიტეტისა და ეთიკური სტანდარტების დაცვით. განსაკუთრებით პრობლემურად აღიქმება პოლიტიკური პოლარიზაცია, მიკერძოებული გაშუქება, სენსაციური სათაურები, ემოციური ნარატივები და დეზინფორმაციის გავრცელების რისკი. ამავდროულად, კვლევა აჩვენებს, რომ საზოგადოება მედიას კვლავ მნიშვნელოვან დემოკრატიულ ინსტიტუტად მიიჩნევს. ეს ნიშნავს, რომ კრიტიკული დამოკიდებულება მედიის მიმართ არ არის მისი როლის უარყოფა. პირიქით, რესპონდენტთა შეფასებები მიუთითებს, რომ საზოგადოებას მედიასთან მიმართებით მაღალი მოლოდინები აქვს. მოქალაქეები ელოდებიან, რომ მედია იქნება სანდო, პროფესიული, ეთიკური, დამოუკიდებელი და პასუხისმგებლიანი.

პოლიტიკური კრიზისების გაშუქების პროცესში მედიის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმითაც აიხსნება, რომ კრიზისი ხშირად ცვლის საზოგადოებრივი კომუნიკაციის ჩვეულებრივ რეჟიმს. ასეთ დროს იზრდება ინფორმაციის მოთხოვნა, ძლიერდება ემოციური რეაქციები, მცირდება ნდობა ინსტიტუტების მიმართ და იზრდება მანიპულაციის შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ, მედიის თითოეულ პროფესიულ გადაწყვეტილებას – სათაურის შერჩევას, წყაროს გამოყენებას, ვიზუალური მასალის ჩვენებას, კომენტარის ჩართვას ან გამოტოვებას – შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ განწყობებზე.

კვლევის შედეგები ასევე აჩვენებს, რომ მედიის ეთიკური პრობლემები არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ ინდივიდუალური ჟურნალისტების პასუხისმგებლობად. ეს არის სისტემური საკითხი, რომელიც უკავშირდება მედიაორგანიზაციების რედაქციულ პოლიტიკას, მფლობელობის სტრუქტურას, პოლიტიკური და კომერციული გავლენების ხარისხს, ჟურნალისტური განათლების დონესა და თვითრეგულირების ეფექტიანობას. ამ თვალსაზრისით, კვლევა ადასტურებს, რომ პოლიტიკური კრიზისების გაშუქების გაუმჯობესება საჭიროებს კომპლექსურ

მიდგომას. აუცილებელია როგორც ჟურნალისტების პროფესიული მომზადება, ისე მედიაორგანიზაციების შიდა სტანდარტების გაძლიერება, დამოუკიდებელი თვითრეგულირების მექანიზმების განვითარება და აუდიტორიის მედია წიგნიერების ამაღლება.

დასკვნა

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ პოლიტიკური კრიზისების გაშუქების პროცესში მედია საქართველოში მნიშვნელოვანი პროფესიული, ეთიკური და ინსტიტუციური გამოწვევების წინაშე დგას. 160 რესპონდენტის მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი კრიტიკულად აფასებს ქართული მედიის სანდოობას, მიუკერძოებლობასა და პროფესიული სტანდარტების დაცვას პოლიტიკური კრიზისების გაშუქებისას. კვლევის ძირითადი დასკვნები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- მედიის უმნიშვნელოვანესი როლი პოლიტიკური კრიზისებისას. მედია აღქმულია არა მხოლოდ როგორც ინფორმაციის გამავრცელებელი, არამედ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესში აქტიურად ჩართული ინსტიტუტია.
- ქართული მედიის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად, რესპოდენტები ასახელებენ პოლიტიკურ პოლარიზაციას. რესპონდენტები საკუთარ შეფასებებში მიუთითებენ იმაზე, რომ ქართული მედიის ნაწილი ხშირად აღიქმება, როგორც კონკრეტული პოლიტიკური ინტერესების გამტარებელი.
- კვლევისას გამოვლინდა პასუხისმგებლიანი ჟურნალისტური საქმიანობის ეთიკური სტანდარტების გაძლიერების აუცილებლობა. განსაკუთრებულად პრობლემური საკითხია ფაქტების გადამოწმების პროცესი, ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა, სენსაციურობის შემცირება და სიძულვილის ენის პრევენცია.
- დეზინფორმაცია და დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელება კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, განსაკუთრებით სოციალური მედიის გაძლიერების პირობებში.
- დასავლური მედია რესპონდენტთა აღქმაში შედარებით მეტად ასოცირდება პროფესიულ სტანდარტებთან და ადამიანის უფლებების დაცვასთან, თუმცა ეს შეფასება უნდა განვიხილოთ, როგორც ინსტიტუციური სტანდარტების მიმართ არსებული შედარებითი ნდობის გამოხატულება.

საბოლოოდ, კვლევა ადასტურებს, რომ პოლიტიკური კრიზისების გაშუქება მოითხოვს ჟურნალისტიკის პროფესიული კულტურის გაძლიერებას, მედიაორგანიზაციების ეთიკური პასუხისმგებლობის ზრდას და ისეთი სტანდარტების განვითარებას, რომლებიც ხელს შეუწყობს არა პოლარიზაციის გაღრმავებას, არამედ საზოგადოებრივ ინფორმირებულობას, დემოკრატიულ დისკუსიასა და ადამიანის უფლებების დაცვას.

რეკომენდაციები

1. **ჟურნალისტური ეთიკის გაძლიერება** (მედიაორგანიზაციებმა უფრო მკაფიოდ უნდა დანერგონ ეთიკური გაშუქების შიდა სტანდარტები, განსაკუთრებით პოლიტიკური კრიზისების პერიოდში);

2. **ფაქტების გადამოწმების მექანიზმების გაუმჯობესება** (კრიზისულ სიტუაციაში მედიაორგანიზაციამ მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაუთმოს წყაროების სანდოობასა და ინფორმაციის გადამოწმებას);

3. **ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა** (მედიაპროდუქტში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, სად არის წარმოდგენილი ფაქტობრივი ინფორმაცია და სადაა – ანალიზი ან/და კომენტარი);

4. **სენსაციურობის შემცირება** (მედიამ თავი უნდა აარიდოს მანიპულაციურ სათაურებს, დრამატიზებულ ვიზუალურ მასალას და კონფლიქტის ხელოვნურად გამწვავებას);

5. **პოლიტიკური ნეიტრალიტეტი** (ჟურნალისტებმა კრიზისული მოვლენების გაშუქებაზე პოლიტიკური სიმპათიების გავლენა მინიმუმამდე უნდა დაიყვანონ);

6. **სიძულვილის ენის თავიდან აცილება** (მედიამ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა გააშუქოს პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური, სოციალური და სხვა ჯგუფებთან დაკავშირებული საკითხები);

7. **ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული გაშუქება** (პოლიტ. კრიზისებში ჩართული ყველა მხარე უნდა გაშუქდეს ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაცვის პრინციპით);

8. **ჟურნალისტური განათლების გაძლიერება** (უნივერსიტეტებმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ კრიზისული ჟურნალისტიკის, მედიაეთიკისა და ფაქტების გადამოწმების (ფაქტჩეკინგის) პრინციპების სწავლებას);

9. **თვითრეგულირების მექანიზმების განვითარება** (აუცილებელია მედიაში პროფესიული პასუხისმგებლობის, ასევე ანგარიშვალდებულების გაძლიერება);

10. **მედიაწიგნიერების ამაღლებაზე ზრუნვა** (საზოგადოებამ უნდა შეძლოს ინფორმაციის კრიტიკული შეფასება, დეზინფორმაციის ამოცნობა და სანდო წყაროების გარჩევა).

სამომავლო კვლევის პერსპექტივები

- სამომავლოდ, უმჯობესი იქნება, კვლევის გაფართოება რამდენიმე მიმართულებით. პირველ რიგში, შესაძლებელია რაოდენობრივი მონაცემების შევსება თვისებრივი ინტერვიუებით ჟურნალისტებთან, რედაქტორებთან, მედია ექსპერტებთან, რაც იმ მიზეზების უფრო ღრმად გაანალიზების საშუალებას მოგვცემს, რაც მედიის მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებებს განაპირობებს.
- მნიშვნელოვანია კონკრეტული პოლიტიკური კრიზისების ქეისების კონტენტანალიზი. მაგალითად, შესაძლებელია გაანალიზდეს საპროტესტო აქციების, პარლამენტის წინ მიმდინარე დაპირისპირებების ან საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების გაშუქება ქართულ და დასავლურ მედიაში.
- საჭიროა სოციალური მედიის ცალკე შესწავლა, რადგან თანამედროვე პოლიტიკური კრიზისები ხშირად სწორედ ციფრულ პლატფორმებზე იღებს განსაკუთრებულ დინამიკას. სოციალური მედიის ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს, დავინახოთ, როგორ ვრცელდება

დეზინფორმაცია, როგორ ყალიბდება პოლარიზებული ჯგუფები და რა როლს ასრულებს ალგორითმული კომუნიკაცია პოლიტიკური დაძაბულობის გაღრმავებაში.

- სასურველია დასავლური და ქართული მედიის შედარებითი კვლევის გაღრმავება კონკრეტული ეთიკური კოდექსების, სარედაქციო სახელმძღვანელოებისა და პრაქტიკული გაშუქების მაგალითების საფუძველზე.

კვლევის საერთო სურათი მიუთითებს, რომ პოლიტიკური კრიზისების გაშუქება წარმოადგენს არა მხოლოდ ჟურნალისტურ, არამედ დემოკრატიული მმართველობისა და საზოგადოებრივი სტაბილურობის საკითხსაც. მედიის პროფესიული ხარისხი პირდაპირ უკავშირდება იმას, თუ როგორ იგებს საზოგადოება კრიზისს, როგორ აფასებს პოლიტიკურ პროცესებს და რამდენად შეუძლია ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება. 160 რესპონდენტის მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზი ცხადყოფს, რომ საზოგადოება მედიას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, თუმცა ამავდროულად მისგან უფრო მაღალ პროფესიულ პასუხისმგებლობას, ეთიკურობასა და დამოუკიდებლობას მოითხოვს. ეს მოლოდინი უნდა გახდეს ქართული მედიის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი.